საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 1 21 0000804957

19/08/2021

ბრძანება

ქ. თელავი

2021-2022 სასწავლო წლისათვის შემოდგომის სემესტრში სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტურანტურის) დებულებისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (N791773, 13/08/2021წ.) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შალვა ჭკადუას (N792915, 13/08/2021წ.) სამსახურე ბრივი ბარათის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის დოქტორანტთა მიღება განხორციელდეს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე- 5 ვაკანტურ ადგილზე;
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებული იქნება კვლევითი ინტერესები და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი;
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია-CV;
- 2 ფოტოსურათი ზომებით 3X4;
- პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად/;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი /დედანთან ერთად/ (მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დიპლომის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი. თუ ვერ ხერხდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მისაღებ გამოცდამდე იგი შესაძლებალია წარმოდგენილ იქნას სადოქტორო პროგრამის დასრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის საბოლოო გარკვევამდე დოქტორანტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი);
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი.
- 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და სხვა დოკუმენტები, თუ ასეთს ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა;

4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს ეკონომიკის/ ბიზნესის / საჯარო ადმინისტრირების/ მათემატიკის მიმართულებით ან მათ, ვისაც აქვთ მინიმუმ 2 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება ეკონომიკის /ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და წარმატებით შეძლებენ გამოცდის ჩაბარებას.

5.დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე (ეკონომიკის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -71 ქულა; ინგლისური ენის მისაღები გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი- 51 ქულა). დოქტორანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში (საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული სერთიფიკატი) ან ინგლისურენოვან პროგრამაზე ან სასწავლებელში გატარებული მინიმუმ ერთი სემესტრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

6. დოქტორანტობის კანდიდატმა, რომლის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს ქართული ენა, სავალდებულოა წარმატებით ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა ქართულ ენაში (გამოცდის მინიმალური ზღვარი 51 ქულა). ქართული ენის გამოცდიდან გათავისუფლდეს კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ B2 დონის სერტიფიკატს;
7.საბუთების მიღება განხორციელდეს 2021 წლის 01 სექტემბრიდან 2021 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით. საბუთების პირველადი შემოწმება მოხდეს ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები დაუბრუნდეს წარმომდგენს. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა საბუთების მიღების დასრულებისას ჩააბაროს უნივერსიტეტის კანცელარიას ვიზირებული განცხადება სხვა დანარჩენ საბუთებთან ერთად;
8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდები (სპეციალობა, უცხო ენა) ჩატარდეს 2021 წლის 20 სექტემბერს. გამოცდა ჩატარდეს, თუ პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსანტთა რაოდენობა იქნება 2 ან 2-ზე მეტი;
9. სტუდენტთა მიღება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას წარმატებით ჩააბარებს 2 ან 2-ზე მეტი დოქტორანტი;
10. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2021 წლის 20-21 სექტემბერს;
11.გამოცდების შედეგების გასაჩივრების და საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 20-22 სექტემბერი;
12. დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 20-23 სექტემბერს
13. დაევალოს სოცუალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანს:

- დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ–გვერდზე განთავსება;
- სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2021 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით;
- მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ წარდგინების წარმოდგენა 2021 წლის 16 სექტემბერს;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2021 წლის 20-23 სექტემბრის ჩათვლით;

14. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია 2021 წლის 23-24 სექტემბერს;
15. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს;
16. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
17. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
18. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
19. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
20. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

21. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი